ხელშეკრულება N 70

დაბა ხელვაჩაური

30 სექტემბერი 2014 წ.

ერთის მხრივ ა (ა) იპ ხელვაჩაურის გამწვანების დასუფთავების და კომუნალური მომსახურების სამსახურის დირექტორი ჯემალ შავლიძის სახით, (შემდგომში - ,, შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „CEBEP"–ის მისი დირექტორის მინდობილი პირი ჯემალ გოგიტიძის სახით (შემდგომში შემსრულებელი) „ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, საკუთარი წესდებებით მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, შემსრულებელი თანახმაა, განახორციელოს დაბა ხელვაჩაურის ტერიტორიაზე მაწანწალა ცხოველების დაჭერა და თავშესაფარში გადაყვანა (90 ერთეული მაწანწალა ცხოველი, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

1.2. შემსრულებელი ასრულებს, ხოლო შემსყიდველი ღებულობს შესრულებულ მომსახურებას და ახდენს მისი ღირებულების ანაზღაურებას წინამდებარე ხელშეკრულების 2.3 პუნქტის შესაბამისად. CPV კოდი 98380000

2. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორების ფორმა და წესი

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 4500 (ოთხიათას ხუთასი) ლარს

2.2. მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით.

2.3. თანხის გადახდა იწარმოებს მიღება ჩაბარების აქტისა და დღგ ანგარიშფაქტურის წარდგენის შემდეგ.

3. საქონლის მიწოდების პირობები

3.1. შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების პირობის შესრულება ხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 დღის ვადაში.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. შემსყიდველი ვალდებულია:

4.1.1. უზრუნველყოს მისთვის გადაცემული საქონლის შესაბამისი ანაზრაურების გადახდა შემსრულებლისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით.

4.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

4.2.1. შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულპირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4.2.2. შემსრულებლისგან მოითხოვოს საქონლის გადაცემის შესახებ დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება. „ა (ა) იპ ხელვაჩაურის გამწვანების დასუფთავების და კომუნალური მომსახურების სამსახური"-ს წარმომადგენელი ნესტან ჩხუბაძის თანდასწრებით.

4.3. შემსრულებელი ვალდებულია:

4.3.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ხელშეკრულებით დადგენილ ოდენობითა და ღირებულებით მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

4.3.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველს წარუდგინოს საქონელთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

4.3.3. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი საქონლის მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა ნაკლის აღმოფხვრა.

4.3.4. საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რომლის შედეგაც ფორმდება დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტით.

4.3.5. დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ.

4.3.6. ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს შემსყიდველს შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

4.4. შემსრულებელი უფლებამოსილია:

4.4.1. შემსყიდველისგან მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვალდებულებები სრულად და დროულად შესრულება.

## 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

5.2. ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი წარმომადგენელი.

## 6. უფლებების გადაცემა

6.1. შემსრულებელს არ აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალიწინებული უფლება-მოვალეობანი.

## 7. ფასები

7.1. ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების შეცვლის პერიოდში დასაშვებია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## 8. შეტყობინება

8.1. ნებისმიერი შეტყობინება, მხარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად, გაეგზავნება მეორე მხარეს წერილობითი სახით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

8.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს. იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თვის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში თუ კი ხელშეკრულებების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

10. ფორს-მაჟორული სიტუაცია

10.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში.

10.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ.

10.3. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუკი ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავები გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. თუ სადაო საკითხებზე მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ შეთანხმებას, დავა გადაწყდება სასამართლო წესით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ხელშეკრულებითა და დამტკიცებული ვადების დარღვევისათვის მხარეები ჯარიმის სახით გადაიხდიან სახელშეკრულებო ღირებულების 0,03 პროცენტს, ყოველ გადაცილებულ დღეზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

13.1. ხელშემკვრელი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.

13.2. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით (ან მისი ნაწილის შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე მაინც), ამასთნ, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.

13.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

248433627

14.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

14.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

14.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხი ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

14.5. შემსრულებლის მიერ შესრულებული სამუშაოები ან მისი ეტაპი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ, მხარეთა შორის დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

14.6. ხელშეკრულების დებულებებში ცვლილების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.

14.7. ხელშეკრულება ძალაშია მისი მხარეთა მიერ ხელისმოწერის მომენტიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

14.8. წინამდებარე ხელშეკრეულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად და 2 (ორი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი - შემსრულებელთან.

## 15. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

„ა(ა) იპ ხელვაჩაურის გამწვანების დასუფთავების და კომუნალური მომსახურების სამსახური"

მისამართი: ბათუმი დიდაჭარის ქ #23

საბანკო რეკვიზიტი:

ბანკის კოდი

საიდ. კოდი:

„შემსრულებელი"

შპს "CEBEP"

მისამართი: ქ. ბათუმი კახაბერი, აეროპორტის გზატკეცილი N251

საბანკო რეკვიზიტები: სს თიბისი ბანკი

ანგარიშის N: GE89TB7871936080100002

ბანკის კოდი: TBCBGE22

საიდ.კოდი: 404396113

# საგადასახადო ანგარიშფაქტურა

დანართი NoIII-05
დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის
31.12.2010 წ. N996 წლის ბრძანებით

დადასტურებული 02/12/2014 14:29

| 1 | ეა-03 2349602 |
|---|---|

| 3 | ნოემბერი | 2014 |
|---|---|---|

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

| 4 | 02 | დეკემბერი | 2014 |
|---|---|---|---|

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

| 5 | გამყიდველი |
|---|---|

| 5.1 | 4 | 0 | 4 | 3 | 9 | 6 | 1 | 1 | 3 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

| 5.2 | შპს CEBEP |
|---|---|

დასახელება (სახელი, გვარი)

| 6 | მყიდველი |
|---|---|

| 6.1 | 2 | 4 | 8 | 4 | 3 | 3 | 6 | 2 | 7 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

| 6.2 | ხელვაჩაურის გამწვანებისა და დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური |
|---|---|

დასახელება (სახელი, გვარი)

| საქონლის (მომსახურების) დასახელება | ზომის ერთეული | მიწოდებული საქონლის რაოდენობა | საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით | მათ შორის | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დღგ-ს თანხა | აქციზის თანხა |
| ძაღლების დაჭერა გამოყვანა ხელშეკრულება # 70 30.09.2014წ | მომსახურება | | 950.0000 | 144.9200 | 0.0000 |
| | | სულ | 950 | 144.92 | 0 |

სასაქონლო ზედნადების No

თარიღი

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის

ხელმოწერა________________________________________ბ.ა.

მყიდველს ჩაბარდა ხელზე

ხელმოწერა________________________________________ბ.ა.

# საგადასახადო ანგარიშფაქტურა

დანართი NoIII-05
დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის
31.12.2010 წ. N996 წლის ბრძანებით

დადასტურებული 03/11/2014 14:42

| 1 | ეა-03 1562100 |
|---|---|

| 3 | ოქტომბერი | 2014 |
|---|---|---|

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

| 4 | 03 | ნოემბერი | 2014 |
|---|---|---|---|

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

5 გამყიდველი

| 5.1 | 4 | 0 | 4 | 3 | 9 | 6 | 1 | 1 | 3 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

| 5.2 | შპს CEBEP |
|---|---|

დასახელება (სახელი, გვარი)

6 მყიდველი

| 6.1 | 2 | 4 | 8 | 4 | 3 | 3 | 6 | 2 | 7 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

| 6.2 | ხელვაჩაურის გამწვანებისა და დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური |
|---|---|

დასახელება (სახელი, გვარი)

| საქონლის (მომსახურების) დასახელება | ზომის ერთეული | მიწოდებული საქონლის რაოდენობა | საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით | მათ შორის | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დღგ-ს თანხა | აქციზის თანხა |
| ძაღლების დაჭერა- გამოყვანა. ხელშეკრულება #70 30.09.2014 | მომსახურება | | 2150.0000 | 327.9700 | 0.0000 |
| | | სულ | 2150 | 327.97 | 0 |

სასაქონლო ზედნადების No

თარიღი

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის
ხელმოწერა________________________ ბ.ა.

მყიდველს ჩაბარდა ხელზე
ხელმოწერა________________________ ბ.ა.

# საგადასახადო ანგარიშფაქტურა

დანართი NoIII-05
დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის
31.12.2010 წ. N996 წლის ბრძანებით

დადასტურებული 25/12/2014 10:19

| 1 | ეა-03 2938310 |
|---|---|

| 3 | დეკემბერი | 2014 |
|---|---|---|

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

| 4 | 24 | დეკემბერი | 2014 |
|---|---|---|---|

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

5 გამყიდველი

| 5.1 | 4 | 0 | 4 | 3 | 9 | 6 | 1 | 1 | 3 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

| 5.2 | შპს СЕВЕР |
|---|---|

დასახელება (სახელი, გვარი)

6 მყიდველი

| 6.1 | 2 | 4 | 8 | 4 | 3 | 3 | 6 | 2 | 7 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

| 6.2 | ხელვაჩაურის გამწვანებისა და დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური |
|---|---|

დასახელება (სახელი, გვარი)

| საქონლის (მომსახურების) დასახელება | ზომის ერთეული | მიწოდებული საქონლის რაოდენობა | საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით | მათ შორის | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დღგ-ს თანხა | აქციზის თანხა |
| ძაღლების დაჭერა გამოყვანა, ხელშეკრულება #70 30.09.2014წ | მომსახურება | | 1400.0000 | 213.5600 | 0.0000 |
| | | სულ | 1400 | 213.56 | 0 |

სასაქონლო ზედნადების No

თარიღი

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის

ხელმოწერა______________________________ ბ.ა.

მყიდველს ჩაბარდა ხელზე

ხელმოწერა______________________________ ბ.ა.